

შპს „FRANCE-PLAST“

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
ფინანსური ანგარიშგება	
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „FRANCE-PLAST“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი

საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში საქმიანობის შეჩერებას და ორიენტირებულია მოგების გაზრდაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
 - ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
 - სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
 - კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
 - თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ

დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 22 სექტემბერს

დირექტორი: ავთანდილ მაღრაძე

შპს „FRANCE-PLAST“

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
 2022-2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ერთეული ლარი)

	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი	2,724,745	2,875,440
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(1,856,000)	(1,991,998)
საერთო მოგება	868,745	883,442
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	(708,027)	(387,315)
საოპერაციო მოგება	160,718	496,127
ფინანსური ხარჯები	(218,906)	(40,700)
(ზარალი)/მოგება საკუროსო სხვაობიდან	63,546	(59,331)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	263,885	25,162
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	269,243	421,258
მოგების გადასახადი	(24,238)	(7,982)
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი		
წმინდა მოგება/ზარალი	245,005	413,276

დირექტორი: ავთანდილ მაღრაძე

შპს „FRANCE-PLAST“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,341,226	1,383,897
საინვესტიციო ქონება	234,985	276,665
არამატერიალური აქტივი	424	424
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,576,635	1,660,986
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	231,560	668,044
სავაჭრო მოთხოვნები	887,373	1,342,089
გადახდილი ავანსები	220,420	110,671
მარაგები	292,184	283,652
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,631,537	2,404,456
სულ აქტივები	4,208,172	4,065,442
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	2,147,032	2,038,869
სულ კაპიტალი	2,147,232	2,039,069
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სასესხო ვალდებულებები	1,478,000	835,144
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულება	579,662	1,177,705
საგადასახადო ვალდებულებები	0	8,027
სხვა ვალდებულებები	3,278	5,497
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	582,940	1,191,229
სულ ვალდებულებები	2,060,940	2,026,373
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4,208,172	4,065,442

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი: ავთანდილ მაღრაძე

შპს „FRANCE-PLAST“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2021 წელი		200	1,956,549	1,956,749
პერიოდის მოგება		0	413,276	
საწესდებო კაპიტალი		0	0	0
გაცემული დივიდენდი		0	(330,956)	
31 დეკემბერი 2021 წელი		200	2,038,869	2,039,069
პერიოდის მოგება		0	245,005	
საწესდებო კაპიტალი		0	0	
გაცემული დივიდენდი		0	(136,842)	
31 დეკემბერი 2022 წელი		200	2,147,032	2,147,232

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი: ავთანდილ მაღრაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **FRANCE-PLAST** (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2010 წლის 29 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/ნ 401953748). კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი ლუბლიანის ქ. 18/20, ხოლო საქმიანობის ადგილი არის: ქ.თბილისი, ბოხუას ქ. # 5. მისი ძირითადი საქმიანობაა საამშენებლო მასალებით საბითუმო ვაჭრობა.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

	2022 წ.	2021 წ.
ავთანდილ მაღრაძე	50%	50%
ზაზა ქორიძე	50%	50%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ

2. მომზადების საფუძვლები

მს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. კომპანიის ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად**

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია).
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

2022-2021 წწ

ნაგებობები	40
მანქანა - დანადგარები	4-6
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5-7
სპეციალური ინსტრუმენტები	3-5
მსუბუქი ავტომობილები	5-7
სხვა ავტოტრანსპორტი	7-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის

მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი(რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

(ერთეული ლარი)

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2021 წლის 01 იანვარი	1,063,416	48,499	61,714	361,527	1,535,156
მატება					
ჩამოწერა	132,366	13,609	77,001	4,034	227,010
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	1,195,782	62,108	138,715	365,561	1,762,166
მატება					
ჩამოწერა	710,974	1,708	23,644	320,580	1,056,906
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	1,906,756	63,816	162,359	686,141	2,819,072
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2021 წლის 01 იანვარი	18,023	38,758	33,854	210,763	301,398
ცვეთის ხარჯი					
გაყიდვა	27,771	2,185	8,765	38,150	76,872
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	45,794	40,943	42,619	248,913	378,269
ცვეთის ხარჯი	28,683	3,179	10,857	56,858	99,577
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	74,477	44,122	53,476	305,771	477,846
ნარჩენი ღირებულება					
01 იანვარი 2020 წელი	1,045,393	9,741	27,860	150,764	1,233,758
31 დეკემბერი 2020 წელი	1,149,988	21,165	96,096	116,648	1,383,897
31 დეკემბერი 2021 წელი	1,832,279	19,694	108,883	380,370	2,341,226

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების ჩათვლით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შემენასთან.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს პროდუქციის მარაგებს, რომელიც განკუთვნილია გადასაყიდად. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები (ერთეული ლარი)	2022 წ	2021 წ
საქონელი	210,897	177,664
მასალები/ნედლეული	30,192	56,948
სხვა მარაგები	51,095	49,040
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	292,184	283,652

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ერთეული ლარი)	2022 წ	2021 წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	887,373	1,342,089
გადახდილი ავანსები	220,420	110,671
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,107,793	1,452,760

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება: ამონაგები სასაქონლო მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან და ასატრანსპორტო მომსახურებიდან.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, ეს არის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი, და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

სატრანსპორტო მომსახურებიდან შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების დასრულების დროს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კვალიფიცირდება, როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის, რომელშიც იგი გამოცხადდება. ასევე 2021-2022 წლებში კრების ოქმების თანახმად, დამფუძნებლების მიერ წარმოებდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან/და შემცირება.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ერთეული ლარი)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2022 წ	2021 წ
სავაჭრო ვალდებულებები	579,662	1,177,705
საგადასახადო ვალდებულებები	0	8,027
სხვა ვალდებულებები	3,278	5,497
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	582,940	1,191,229

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

(ერთეული ლარი)

მოკლევადიანი სესხები	2022 წ	2021 წ
ბანკის სესხები ლარში	1,478,000	800,000
დარიცხული პროცენტები (ლარის სესხზე)	180,586	31,567
ბანკის სესხები აშშ დოლარში	0	35,144
დარიცხული პროცენტები აშშ დოლარში	536	7,437
სულ მკლევადიანი სესხები	1,659,122	874,148

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს,

ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ:

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

საოპერაციო შემოსავალი

(ერთეული ლარი)

საოპერაციო შემოსავალი	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი გაყიდვიდან	2,641,618	2,442,620
სხვა შემოსავალი	83,127	432,820
სულ შემოსავალი	2,724,745	2,875,440

გასაყიდი პროდუქციის თვითღირებულება

(ერთეული ლარი)

	2022 წ.	2021 წ.
საქონელი	1,856,000	1,991,998

(ერთეული ლარი)

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 წ.	2021 წ.
ხელფასის ხარჯი	401,785	173,982
იჯარის ხარჯი	12,203	10,678
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	877	797
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	640	4,136
ცვეთის ხარჯი	100,852	76,872
აუდიტის და ადვოკატის მომსახურების ხარჯი	27,924	23,355
კომუნალური ხარჯი	2,812	923
კომუნიკაციის ხარჯი	4,366	4,003
ქონების დაზღვევა	9,914	8,986
ავტომანქანის მომსახურების ხარჯი	15,392	13,493
საწვავის ხარჯი	93,662	45,381

ქონებისა და მიწის გადასახადი	19,978	13,565
სხვა ხარჯი	17,622	11,144
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	708,027	387,315

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად შეიცვალა მოგების გადასახადი, ახალი კანონის მიხედვით გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, ასევე

ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდის განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგების განაწილებისას თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2019-2018 წლებში ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს, აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებულ მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

სხვა გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფული და ფულის ექვივალენტები**(ერთეული ლარი)**

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან .

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2022წ	31.12.2021წ
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,070	13,673
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	113,192	146,456
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტ.	116,297	507,915
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	231,560	668,044

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურება.

ფინანსური ვალდებულებებისა და ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელსაც ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მათ შემენასთან. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია შემდეგნაირად (გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელის წარმოიშვებოდა ინსტრუმენტის გაყიდვისას ან სხვა ფორმით გასვლისას):

სავალო ინსტრუმენტები_ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გარდა სავალო ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია,

როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ესენი შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

ფინანსური შემოსავალი (ერთეული ლარი)	2022 წ	2021წ
სხვა ფინანსური შემოსავალი	263,885	25,162
დადებითი საკურსო სხვაობა	63,546	0
სულ ფინანსური შემოსავალი:	327,431	25,162

ფინანსური ხარჯი (ერთეული ლარი)	2022 წ.	2021 წ.
საპროცენტო ხარჯი	181,122	40,004
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	0	0
სხვა ფინანსური ხარჯი	37,783	696
უარყოფითი საკურსო სხვაობა	0	59,331
სულ	218,905	100,031

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

შპს „FRANCE-PLAST“

ფინანსური ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „FRANCE-PLAST“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი

საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში საქმიანობის შეჩერებას და ორიენტირებულია მოგების გაზრდაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ☐ კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
 - ☐ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
 - ☐ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
 - ☐ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
 - ☐ თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ

დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 22 სექტემბერს

დირექტორი: ავთანდილ მალრაძე



შპს „FRANCE-PLAST“

ფინანსური ანგარიშგება

შპს „FRANCE-PLAST“

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2022-2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ერთეული ლარი)

	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი	2,724,745	2,875,440
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(1,856,000)	(1,991,998)
საერთო მოგება	868,745	883,442
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	(708,027)	(387,315)
საოპერაციო მოგება	160,718	496,127
ფინანსური ხარჯები	(218,906)	(40,700)
(ზარალი)/მოგება საკუროსო სხვაობიდან	63,546	(59,331)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	263,885	25,162
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	269,243	421,258
მოგების გადასახადი	(24,238)	(7,982)
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი		
წმინდა მოგება/ზარალი	245,005	413,276

დირექტორი ავთანდილ მალრაძე



შპს „FRANCE-PLAST“	ფინანსური ანგარიშგება	
შპს „FRANCE-PLAST“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ერთეული ლარი)	შენიშვნა	
	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,341,226	1,383,897
საინვესტიციო ქონება	234,985	276,665
არამატერიალური აქტივი	424	424
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,576,635	1,660,986
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	231,560	668,044
სავაჭრო მოთხოვნები	887,373	1,342,089
გადახდილი ავანსები	220,420	110,671
მარაგები	292,184	283,652
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,631,537	2,404,456
სულ აქტივები	4,208,172	4,065,442
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	2,147,032	2,038,869
სულ კაპიტალი	2,147,232	2,039,069
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სასესხო ვალდებულებები	1,478,000	835,144
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულება	579,662	1,177,705
საგადასახადო ვალდებულებები	0	8,027
სხვა ვალდებულებები	3,278	5,497
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	582,940	1,191,229
სულ ვალდებულებები	2,060,940	2,026,373
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4,208,172	4,065,442

ხელმოწერის პირი:

დირექტორი:

ავთანდილ მადრაძე



შპს „FRANCE-PLAST“

ფინანსური ანგარიშგება

შპს „FRANCE-PLAST“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ერთეული ლარი)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2021 წელი		200	1,956,549	1,956,749
პერიოდის მოგება		0	413,276	
საწესდებო კაპიტალი		0	0	0
გაცემული დივიდენდი		0	(330,956)	
31 დეკემბერი 2021 წელი		200	2,038,869	2,039,069
პერიოდის მოგება		0	245,005	
საწესდებო კაპიტალი		0	0	
გაცემული დივიდენდი		0	(136,842)	
31 დეკემბერი 2022 წელი		200	2,147,032	2,147,232

ხელმოწერილია:

დირექტორი:

ავთანდილ მაღრაძე

